ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-011710844**

გაცემის თარიღი: **18.04.2017**

განმცხადებელი (დაინტერესებული) პირი
შპს ჩარდახი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405066486
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ.ნუცუბიძის ქ. N 221 კორ. 2 ბ. 16

თქვენი 03.04.2017 წლის #10/011709343-18 წერილის პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი #91ა (საკ/კოდ 01.13.01.015.106) მშენებლობის მიზნით მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვას გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 97-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება, შესწავლილი იქნა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის ააიპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"-ს (#02-25/83-02 30.03.17) საექსპერტო დასკვნაში მითითებული მწვანე ნარგავების მდგომარეობა, რის შედეგადაც მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაძლევთ დაპირებას, რომ თანახმაა ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად გასცეს 1 ძირი დასავლური ტუიას ბუჩქის, 3 ძირი ჰორიზონტალური ღვიას ბუჩქის, 1 ძირი მარადმწვანე ბზის ბუჩქის, 1 ძირი კაზაკური ღვიას ბუჩქის, 1 ძირი აღმოსავლური ტუიას ბუჩქის, 2 ძირი ჩვ. სუროს, 1 ძირი ვაზის, 1 ძირი იაპონური ჭანჭყატის და 1 ძირი კავკასიური ცაცხვის (დიამეტრი 13სმ), გადარგვაზე ნებართვას, სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

ასევე გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების (მათ შორის: ბალი, ჭერამი) მოჭრა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი



ქალაქი თბილისი
დავით აღმაშენებლის ხეივანი №91ა
მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.01.015.106
გ ე გ მ ა



პირობითი აღნიშვნები

შპს „ტოპო სერვისი"

შეასრულა		ვ.ლოგოვი
დაამუშავა		ვ.ლოგოვი
დირექტორი		ი.ჩამაგულაშვილი
1:500		25.11.2016 ♥

შპს "ტოპო სერვისი"
მისამართი: თემქის დას. IV მ/რ, კორპ. 10. ბ. 99
Email: toposervice.georgia@gmail.com
tel.555 248 730



არსებული გეო-გეგმა 1:500

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N91ა

A1

მ. 1:100


საპროექტო ბენ-ბეგმა 1:500
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N91ა
A1
მ. 1:100